

ТЕЗИСЫ ДОКЛАДОВ:

1. Некоторые обобщения, касающиеся семантической стороны систем терминов родства, тезисы дискуссии «Типология как раздел языкоznания», Москва, 1976.
2. О некоторых закономерностях терминов цветообозначения, тезисы докладов всесоюзной конференции по лингвистической типологии, Москва, 1990.
3. Some Remarks on Semantics and Evolution of Basic Color Term Systems, Abstracts of Tbilisi Symposium "Language, Logic and Computation", Edinburgh, 1995.
4. Дифференциальный признак на семантическом уровне, тезисы докладов международного конгресса «100 лет Р. О. Якобсону», Москва, 1996.
5. Towards the Typology of the Kartvelian Color Term Systems, Abstracts of the Second Tbilisi Symposium "Language, Logic and Computation", Tbilisi, 1997.
6. ფერის ტერმინთა ქართული და მეგრული სისტემები უნივერსალურ მოდელთან მიმართებაში, მოხსენებათა თეზისები კონფერენციისა „მოდელი - 97, ენის კონცეპტუალური და კომპიუტერული მოდელები“, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 1997.
7. ფერის ტერმინთა ქართული სისტემის ეკოლუციური გზა, მოხსენებათა თეზისები გვივ მაჭავარიანის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიისა, თსუ, 1997.

6-703

ივანე ჯავახისვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მთარ გიორგის ასული სოსელია

სემანტიკური უნივერსალიები და
ძართველური ენები:
ვერთა პატეგორიზაციის მოდელები


სპეციალობა:

ტიპოლოგიური და შედარებითი ენათმეცნიერება - 10. 02. 07

ავტორების სახელი

დისერტაციისა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999



სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა კადემიის აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთცოდნეობის ინსტიტუტის ზოგადი ფონეტიკისა და აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიის განყოფილებაში

სადისერტაციო საბჭოს ექსპერტი: ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გაია ნათაძე**

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აღმსანდრე პარტოზია

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **გ. შრამი ლებაძე**
ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ა. ჩხილი გეგელი**

წამყვანი სამეცნიერო დაწესებულება: საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის არხოლდ ჩიქობავას
სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის **1106, 14⁰⁰** საათზე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის P. 10. 02 C №6 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე
მისამართი: 380028, თბილისი, ჭავჭავაძის პრ. №1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, მისამართი: უნივერსიტეტის ქ. 2

ავტორუფერატი დაგზავნილია 1999 წლის 9 მაისს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **გ. იორგი შიგახაშვილი**

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომის მიზნები და ამოცანები.

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება სემანტიკური ტიპოლოგიის აქტუალურ პრობლემას – ფერთა კატეგორიზაციას ენაში. საზოგადოდ, სემანტიკის აქტიური კვლევა ენათმეცნიერებაში XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა სხვადასხვა სემანტიკური თეორიები. სემანტიკური კვლევით დაინტერესებამ ასახვა პოვა ტიპოლოგიაში. ამ მიმართულებით კვლევას, განსაკუთრებით კი ფერის ტერმინთა სისტემების შესწავლას სემანტიკური ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ერთგვარი ბიძგი მისცა ამერიკული მეცნიერების ბ.ბერლინისა და პ. კეის 1969 წლს გამოქვეყნებულმა ერთობლივმა ნაშრომმა, რომელიც ფერის ტერმინთა სისტემების კვლევის პრინციპებს გვთავაზობდა და ამავდროულად მასში წარმოდგენილი იყო საკმაოდ კრცელ ენობრივ მასალაზე ჩატარებული კვლევის შედეგები. ავტორებმა სემანტიკურ უნივერსალიათა რიცხვს შეკმატეს ფრიად საყურადღებო, ფერის ტერმინთა ნებისმიერი სისტემის შესაბამისი სემანტიკური სტრუქტურის კანონზომიერებათა ამსახველი უნივერსალიები. ბ. ბერლინისა და პ. კეის თეორიაზე დაყრდნობით შეიქმნა ფერთა კატეგორიზაციის თანამდებოვე უნივერსალური მოდელი და დაზუსტდა თავდაპირველი უნივერსალიები. ისინი ასახავნ ფერის ტერმინთა სისტემებისთვის დამახასიათებელ როგორც სინქრონიულ კანონზომიერებებს, ისე იმ დიაქრონიულ კანონზომიერებებსაც, რომლებიც ამ სისტემების ევოლუციურ გზას ახასიათებს.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, წარმოვადგინოთ ქართველურ ენათა ფერის ტერმინთა სისტემების ანალიზი, გამოვავლინოთ ამ ენებში ფერთა კატეგორიზაციის კონკრეტული მოდელები უნივერსალურ მოდელთან მიმართების დასადგენად და ვიმედოვნებთ, რომ ქართველური ენების მასალა კიდევ უფრო გააძლიდორებს აღნიშნულ უნივერსალურ მოდელს, მეტ სიზუსტეს შესძენს შესაბამის სემანტიკურ უნივერსალიებს. გარდა ამისა, რამდენადც ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელი დაიქრონიულ უნივერსალიებსაც გვთავაზობს, ერთი ოჯახის მონათესავე ენათა ფერის ტერმინთა სისტემების სინქრონიული ანალიზის საფუძველზე დაიკრონიული ანალიზის ჩატარებაცა შესაძლებელი და ამდენად, დაიქრონიული უნივერსალიები სემანტიკური რეკონსტრუქციების საშუალებას იძლევა.